

დმიტრო იენგინი

*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ყირიმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი.*

დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში უცხო ენების სწავლება (მულტილინგვური ასპექტი)

აბსტრაქტი:

სტატიაში აქცენტი გაკეთებულია დასავლეთ ევროპულ უნივერსიტეტებში უცხო ენების მულტილინგვურ კონტექსტში სწავლების გამოცდილებაზე. ავტორი ადგენს მიზეზებს, რომლებმაც გაზარდეს ყურადღება მულტილინგვურ გარემოში ენის სწავლების მიმართ. გაკეთებულია მონახაზი, თუ როგორაა შესაძლებელი ევროპული ქვეყნების უმაღლესი განათლების ინსტიტუციებში სტუდენტების უცხო ენის სწავლების გაუმჯობესება.

საკვანძო სიტყვები: მულტილინგვური განათლება; უცხო ენების სწავლება; უმაღლესი განათლების ინსტიტუციები.

უკრაინის ეროვნული განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროპისა და მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია, რაც საშუალო და უმაღლესი განათლების გაუმჯობესებას მოითხოვს. გლობალიზაცია გვიყენებს პირობას, მოვამზადოთ ახალგაზრდობა მულტიეთნიკურ, მულტილინგვურ, მულტიკულტურულ სივრცეში საცხოვრებლად, ჩამოვუყალიბოთ განსხვავებული ეროვნების, კულტურებისა და მენტალიტეტების ხალხთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი. შესაბამისად, რეფორმის სოციოპოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტები იწვევენ

უკრაინაში საშუალო და უმაღლეს განათლებაში უცხო ენის სწავლების სისტემის მოდერნიზაციის განსაკუთრებულ საჭიროებას [ანდრუშჩენკო, 2003, გვ. 296].

დღესდღეობით განათლებაში წამყვანი იდეა არის უცხო ენების საშუალო და უმაღლეს განათლებაში სწავლება, როგორც ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალება, რაც განაპირობებს პროფესიულ არეში უცხო ენების ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებად გამოყენების უნარს. უცხო ენის სწავლების მიზნების განსაზღვრაში, ცვლილებებთან ერთად, იცვლება მასწავლებელთა განათლებაც

და საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ენების სწავლების ორგანიზებაც. ბოლო ხანებში შემუშავებული ახალი საგანმანათლებლო სტანდარტები, ახალი კურიკულუმები და პროგრამები იქმნება, რათა უზრუნველყონ თანამედროვე კომუნიკაციური მიზნის ასრულება და გვთავაზობენ ახალ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მეთოდებს. თუმცა, სამწუხაროდ, ახალგაზრდა მოქალაქეთა უცხო ენის ცოდნის დონე არ არის საკმარისი.

უკანასკნელ ხანებში უცხო ენის სწავლება მრავალი მეცნიერის ყურადღების საგანი გახდა, მათ შორის გამოიყოფილი ვ. ჰამანიუკის (გერმანიაში უცხო ენის სწავლების ანალიზი), პ. გრიშკოვას (უცხო ენის სწავლება უკრაინაში), ლ. ჰალპის (უნგრეთის საშუალო სკოლებში უცხო ენის სწავლების განვითარება), ა. ლაზარენკოს (გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტებში უცხო ენის სწავლების განვითარება), ო. მაქსიმენკოს (დასავლეთ ევროპაში უმაღლეს განათლებაში ენის სწავლების ორგანიზება), მ. პარხომენჩუკის (მულტილინგვურობა, როგორც გერმანიის დაწყებით სკოლებში უცხო ენების სწავლების პერსპექტივა), მ. თადეევის (ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში თამედროვე სკოლებში უცხო ენის სწავლების განვითარება) და სხვა მკვლევარების ნაშრომებს.

ღირს კიდევ ერთი უცხოური გამოცდილების გაზიარება ენებისა

სწავლებისა და სწავლის სფეროში ევროპის ტერიტორიაზე უკრაინის სტრატეგიული ევროპული არჩევანის კუთხით - რათა შევქმნათ სტრატეგიული ტაქტიკა და გადაწყვეტილებები სკოლის სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე ენის სწავლების ხარისხის დასადგენად.

სტატიის მიზანია, გაანალიზოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მულტილინგვურ კონტექსტში უმაღლესი განათლების სისტემაში ენის სწავლების ამჟამინდელი პრაქტიკა.

კვლევა გვაჩვენებს, რომ ევროპული ქვეყნების გაერთიანებამ, ერთიანი ბაზრის შექმნამ, ინდუსტრის გაფართოებამ და საერთაშორისოდ ქცევამ, ევროპაში მობილობამ და მულტილინგვურობამ გამოიწვია უცხო ენების სწავლისადმი ინტერესის მკვეთრი ზრდა, როგორც მულტილინგვურ ტერიტორიაზე კომუნიკაციისა და ურთიერთობის საშუალებისადმი. თანამედროვე ახალგაზრდობა ორიენტირებულია გლობალიზებულ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში ცხოვრებაზე, რაც ზრდის უცხო ენების სწავლის მნიშვნელობას, რადგან მათ თავი კომფორტულად უნდა იგრძნონ მულტილინგვურ გარემოში. იზრდება საჭიროება, რომ ახალგაზრდები აღვზარდოთ ერთიანობის გრძნობის მქონე, გახსნილ, მშვიდობისყვარე, ტოლერანტულ ადამიანებად, რომლებსაც აინტერესებთ და პატივს სცემენ სხვა ერების კულტურასა და ენებს. სხვა კულტურათა და ენათა გაგების საჭიროება ერთ-ერთი იმ

პრობლემათაგანია, რომელთა გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაც სკოლებს აქტიურად უნდათ. ერთი მხრივ, ენა არის ინსტრუმენტი - საშუალება, რომ გადავცეთ იდეები და ინფორმაცია. მეორე მხრივ, ის აღიარებულია, როგორც პიროვნების აღმქმელობითი და გამომხატველობითი ინტელექტუალური განვითარების ნაწილი, კომპონენტი პროფესიული კომპეტენციისა, როგორც სამუშაო ბაზარზე მულტილინგვური მეტოქეობის ბაზისი, რადგან მულტიფენომენი აკავშირებს ხალხს, საზოგადოებებს და ეროვნულ კულტურებს [ვილიამსი, 2012, გვ. 61].

კვლევა მიუთითებს, რომ ენის სკოლები და კურსები ხშირად დაფუძნებულია უცხო ენის სწავლების ინსტრუმენტალურ მეთოდზე, რათა დაკმაყოფილდეს სტუდენტთა საჭიროება, როდესაც უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში უცხო ენათა დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს კორელაციის საკითხზე (კავშირი ენასა და კულტურას შორის, კოგნიტიური ასპექტები, ისტორიული პირობები საჭიროა სხვა კულტურებს კულტურული ცოდნის და ენობრივი კომპეტენციების საკმარისად ღრმა დონეზე გასაგებად) [ვილიამსი, 2012, გვ. 61].

უმაღლესი განათლებისას უცხო ენების სწავლების სპეციფიკურობა ისაა, რომ ყველა სტუდენტი აგრძელებს უცხო ენების სწავლას, მაშინ, როდესაც სკოლაში უკვე ნასწავლი აქვთ. შესაბამისად, პოსტსაშუალო განათლების

მთავარი ამოცანაა, ერთი მხრივ, უცხო ენის პროფესიული მიმართულებით სწავლება, და, მეორე მხრივ, სტუდენტების უცხო ენის კომპეტენციის გაუმჯობესება, უცხო ენაში მათი გაწაფულობის რეალური ზრდა. ევროკომისიის ხედვის თანახმად, დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში სასწავლებლად ყველაზე ხშირად შეთავაზებული ენებია: ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური. სტუდენტთა 89% სწავლობს ინგლისურს, 32% - ფრანგულს, 18% - გერმანულს, 8% - ესპანურს. [ევროსტატი, 2010]. სიტუაცია მსგავსია უკრაინის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულის, ფრანგულისა და ესპანურის შემსწავლელი სტუდენტების რიცხვი მკვეთრად იკლებს.

დღესდღეობით ევროპაში „უცხოური ენის“ სწავლების კურსი კომუნიკაციურია - მულტილინგვური საკითხების ხაზგასმაზე ორიენტირებული და ამ მოდელზე დაფუძნებული. აქ ჩვენ შევხვდებით აქტიურად განვითარებად დისტანციური სწავლების სისტემას და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას. ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში სკოლის სხვა საგნების სწავლა დაყრდობილია უცხო ენაზე, რაც ქმნის იმერსიაში ჩართვის პრაქტიკას. არსებობს სპეციალური ქსელი „ევროკლიკი“ ("Euroclie"), რომელშიც ჩართულები არიან მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები საგანთა უცხო ენაზე სწავლის მიმართულების

გასაფართოებლად. ქსელი რეგულარად აქვეყნებს საინფორმაციო წერილებს, მისი ვებგვერდი გვთავაზობს მასალათა ბანკს და მასწავლებელთა კომუნიკაციის შესაძლებლობას. ევროკომისიას, ასევე, აქვს ვებგვერდი, რომლის მიზანია ამ სფეროში ინფორმაციის გავრცელება და მიმოცვლა.

ეროპის ქვეყანათა უმრავლესობაში უცხო ენები ისწავლება, როგორც ფილოლოგიის დეპარტამენტის სპეციალიზებული კურსი უცხო ენის სპეციალისტის ხარისხის სერტიფიკატის მისაღებად. კურსი 4-5 წელი გრძელდება, კურიკულუმი შეიცავს ენის, ლიტერატურისა და ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურული თავისებურებების შესწავლას. მინიმუმ 2 წელი სტუდენტებმა უნდა ისწავლონ უცხო ენა და ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურა. სასწავლო ენათა არჩევანი სკოლასთან შედარებით ფართოა და ქვეყნების და უნივერსიტეტების მიხედვით, სტუდენტებს სთავაზობენ ფრანგულს, გერმანულს, იტალიურს, პორტუგალიურს, ჰოლანდიურს, დანიურს (ყველაზე პოპულარული ენები ევროპაში) და სხვა ენებს. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ესპანელი სტუდენტები ხშირად სერიოზულ თეორიულ განათლებას იღებენ, თუმცა მათი პრაქტიკული უნარები უცხო ენაში არაა საკმარისი [პალაციოსი, 2002, გვ. 165].

კვლევები აჩვენებს, რომ საგანი „უცხო ენა“ არაა სვალდებულო დასავლეთ ევროპის ყველა უნივერსიტეტში. ბევრ უმაღლესში, სადაც ეს

კურსი კურიკულუმის სავალდებულო ნაწილია, ის ინგლისური ენის სწავლებასა და სწავლას ეხება, ხოლო სხვა უცხო ენები იგნორირებულია. მაგალითად, ესპანეთში სტუდენტები გადიან ინგლისურს ან როგორც სავალდებულო კურსს, ან არჩევით დისციპლინას ხარისხის ასაღებად პედაგოგიკაში (ძირითადი განათლება), ეკონომიკის სამართალში, ინჟინერიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ფარმაცევტიკაში. ინგლისურის სპეციალური მიზნებისთვის სწავლა (ESP) საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ ევროპაში, მაგრამ მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების ეფექტური გათვალისწინების მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი. თუმცა, ეს ეხება მხოლოდ ინგლისურს, რადგან სხვა ენები არაა შეთავაზებული სავალდებულო კურსად ან არჩევით დისციპლინად.

ეს პრობლემა ტიპურია უკრაინისათვის და დებატებისა და კამათის საგანს წარმოადგენს. თუმცა „უცხო ენა“ უმაღლესი განათლების კურიკულუმის სავალდებულო ნაწილია, ამ დისციპლინისთვის გამოყოფილი საათები იკლებს დამოუკიდებლად შემსწავლელი სტუდენტების რიცხვის ზრდასთან ერთად. თუმცა, ენების სწავლების ისტორიამ დაამტკიცა, რომ უცხო ენის შესწავლა ყველაზე ეფექტურია ინდივიდუალური ან ჯგუფური ტრენინგის სესიების დროს, მასწავლებელთან რეალური კონტაქტისას.

გარდა ფილოლოგიისა, უცხო ენები ძირითადად ისწავლება იმ ფაკულტეტებზე, სადაც მთარგმნელებს ამზადებენ. ამ სკოლების სტუდენტები სპეციალიზდებიან მინიმუმ 2 უცხო ენაში, რომელთაგანაც ერთი ძირითადია. ექსპერტების აზრით, ამ ფაკულტეტების კურიკულუმი უფრო პრაქტიკაზე ორიენტირებულია, ვიდრე ფილოლოგიის ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული.

ბოლო წლებში იყო მცდელობები, ახალი საუნივერსიტეტო კურსების შეთავაზებისას, დაეწყვილებინათ ენების სწავლება სამეცნიერო, ეკონომიკურ, სამართლებრივ განათლებასთან. თუმცა, ასეთი მცდელობები აქამდე დიდად წარმატებულები არ აღმოჩნდა.

უნივერსიტეტებში, ასევე, მუშაობენ ენის ცენტრები. ენის ცენტრები, ან, როგორც მათ ეძახიან - ინსტიტუციები - სთავაზობენ უცხო ენების სწავლებას უნივერსიტეტების სტუდენტებს, ფაკულტეტის წევრებსა და თანამშრომლებს.

ევროპულ ქვეყნებში უმაღლეს განათლებაში უცხო ენების სწავლისა და სწავლების გამოცდილების შესწავლა გვაჩვენებს, რომ განსხვავებები, ძირითადად, კურსების სიგრძესა და სპეციალობების დასახელებაშია. ინგლისსა და უელსში ბაკალავრიატის კურიკულუმი 3 წელი გრძელდება. იმავე რაოდენობის წლებია საჭირო დანიაში. საფრანგეთში უმაღლესი განათლების პოლიტიკა ორციკლიანია. პირველი ციკლის ბოლოს სტუდენტები იღებენ

ზოგადად უნივერსიტეტში სწავლის დიპლომს (Diploma of General University Studies), ამის შემდეგ კი სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ კიდევ 1 წელი ბაკალავრის ეკვივალენტი დიპლომის (ლიცენზიის) ასაღებად. საფრანგეთში, უცხო ენებში საგანმანათლებლო ხარისხის ტრადიციული კურიკულუმის დამატებით, სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ სპეციალური ენის კურსები, რომლებიც აწყვილებენ ორ უცხო ენას ეკონომიკასთან, ტურიზმთან, პოლიტიკურ მეცნიერებებთან, იურისპრუდენციასთან და ა.შ. პორტუგალიაში ლინგვისტიკის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად სწავლა 4 წელი გრძელდება და მთავრდება ორი ენის დიპლომით - ინგლისურის და რომელიმე სხვა უცხო ენისა, ყველაზე ხშირად - გერმანულის ან ფრანგულისა. სტუდენტებმა, რომელთაც უცხო ენის სწავლება უნდათ, უნდა გაიარონ მასწავლებელთა სპეციალური პროფესიული ტრენინგი. ნიდერლანდებში პროგრამა 4 წელი გრძელდება. გერმანიაშიც სწავლა ოთხწლიანია და მთავრდება ან მაგისტრის დიპლომით, ან სახელმწიფო გამოცდის ჩაბარებით (ბაკალავრის ხარისხის ეკვივალენტური ხარისხი არ არსებობს). კურიკულუმი დაყოფილია „საბაზისო“ და „ძირითად“ ეტაპებად. მსგავსი სისტემა უნგრეთშიც.

ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნის დავალებამ გაზარდა მულტილინგვურ ევროპულ კონტექსტში უცხო ენების განათლების პრობლემისადმი ყურადღება. მისი რეალიზაციის პრაქტიკა უმაღლეს

განათლებაში აღიარებულია, როგორც არადამაკმაყოფილებელი. ის ფაქტი, რომ მისი იმპლემენტაცია ძირითადად ლინგვისტების ტრენინგთანაა დაკავშირებული, ვერ ასრულებს სტუდენტების და, ზოგადად, საზოგადოების საჭიროებებს. უცხო ენების სწავლების ევროპელი ექსპერტები და მკვლევრები მიიჩნევენ, რომ არსებული სოციოპოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები ითხოვენ პროგრამისგან ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც რეალური მულტილინგვური და მულტიკულტურული ევროპის პრომოციას გააკეთებენ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა უცხო ენების სტუდენტთათვის უკეთ სწავლების გზით. [ვილიამსი, 2012, გვ. 61].

ასეთი პროგრამა უნდა გულისხმობდეს:

- მოქნილი კურიკულუმის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს, სპეციალიზაცია გაიაროს ერთ ან ორ უცხო ენაში ტექნიკურ, ეკონომიკურ ან სამართლებრივ სპეციალობასთან კომბინაციაში. ასე რომ, უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია ორმაგი სპეციალიზაციის დიპლომების შექმნაზე (უცხო ენა + ეკონომიკა / + სამართალი/ + მედიცინა / + პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ.);
- უცხო ენის ცოდნის პრაქტიკული სარგებლობის ხაზგასმას, სტუ-

დენტებისა და საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიკაციას. არსებობს ანალიზი, ტრენინგების პროგრამებში ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის სასწრაფო საჭიროება, რათა შემუშავდეს მათი გაუმჯობესების გზები. საჭიროა ტრენინგისა და განათლების ხარისხის კონტროლის გაზრდა, რადგან საერთო ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის შექმნა მოითხოვს საგანმანათლებლო კურსების ცვლილებების მუდმივ მხარდაჭერას და ზედამხედველობას;

- უცხო ენის, მინიმუმ, როგორც არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებას;
- საშუალო განათლების დაწესებულებების შემდგომ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, უცხო ენის სწავლის პროცესის გათვალისწინებას (მათ შორის უმაღლესი განათლების დაწესებულებებში) მნიშვნელოვანი როლი აქვს ცხოვრების განმავლობაში სწავლის სისტემაში და მიმზიდველ შესაძლებლობებს გვთავაზობს ენების შესწავლის სფეროში;
- სპეციალური მიზნებით ენის სწავლების მნიშვნელობის გაზრდას, სტუდენტების პირობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით;
- უცხო ენების თვითშესწავლის განვითარებასა და მხარდაჭერას;

- სხვადასხვა საგანმანათლებლო დონისთვის შესაფერისი სატრენინგო მასალების შექმნას. მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიური რესურსების მოზიდვა (ინტერნეტქსელით დისტანციური განათლების პროგრამები). ყოველ უმაღლესი განათლების დაწესებულებას უნდა ჰქონდეს თანამედროვედ აღჭურვილი რესურსცენტრები და ინდივიდუალური სწავლის ცენტრები. სხვა აქტივობები, რომლებითაც კლასგარეშე სწავლის წახალისებაა შესაძლებელი, არის მრგვალი მაგიდები და სემინარები იმ ხალხის კულტურის შესახებ, ვისი ენაც ისწავლება, წიგნების/მუსიკის პრეზენტაცია, ფილმების ჩვენება მათზე დისკუსიებითურთ, უცხო ენის კლუბების ორგანიზაცია, ლექციები, უცხო ენების გამოფენები და ა.შ. სტუდენტები პირდაპირ უდნა იყვნენ ჩართულები მსგავს აქტივობებში. ისინი უნდა იყვნენ ნამდვილი ორგანიზატორები, რომლებსაც მასწავლებლები დაეხმარებიან;
- მასწავლებლების ტრენინგს, რომლებიც სასწავლო გარემოს შეცვლიან ისე, რომ ის შეიცავდეს ახალ ტექნოლოგიებს, განათლების პროცესის ცვლილებას, თეორიულ და პრაქტიკულ ინოვაციებს და სწავლების ახალი მიდგომებისა და მეთოდების იმპლემენტაციას;
- კონკურენტულ მულტილინგვურ ტრენინგს უცხო ენის იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც მზად არიან მინიმუმ ორი უცხო ენა მაინც ასწავლონ. ერთი მხრივ, ევროპული უნივერსიტეტებისთვის ეს ტრადიციულია, მეორე მხრივ - ეს სუბიექტური პირობაა სამუშაო ბაზარზე სპეციალისტების დასაქმებისთვის;
- იმის უზრუნველყოფას, რომ მასწავლებლები მიმოცვლიან პროგრამებს. არსებობს განსაკუთრებული საჭიროება, რომ სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე მასწავლებლებს შორის შეიქმნას ახლო კავშირები. გაცვლითი პროგრამები უნდა იყოს ადეკვატურად დაფინანსებული. ამ აქტივობას გამოადგებოდა ისეთი ინტერნაციონალური ორგანიზაციების მხარდაჭერა, როგორებიცაა: „ფრანგული ალიანსი“ (French Alliance), „ბრიტანული საბჭო“ (British Council), „გოეთეს ინსტიტუტი“ (Goethe Institute) და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ქმედებები შეასრულოს ევროკავშირმა და მიხედოს შემდეგ სფეროებს: ფინანსურ მხარდაჭერას, განრიგის/ცხრილის შემუშავებას, მასწავლებელთა ტრენინგის პროგრამებს, საგანმანათლებლო რესურსების შემუშავებას და სხვა. ეს აქტივობები უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად და თანმიმდევრულად,

- რასაც სპეციალური შედეგები ექნება. ევროკავშირის ზედამხედველობის ქვეშ ჩატარებული პროექტები ხაზს უსვამენ, რომ მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყნიდან უნდა იყვნენ ევროპულ ინიციატივებსა და პროექტებზე კარგად ინფორმირებულები და უნდა შეეძლოთ მათში ჩართულობად და პროცესის სუბიექტებად იგრძნონ თავი;
- საგანმანათლებლო მასალები საშუალებას უნდა აძლევდეს სტუდენტებს, ისწავლონ სხვა საგნები უცხო ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოების გამოყენებით;
 - საჭიროა ისეთი კვლევებისა და საპილოტე პროგრამების ჩატარება, რომელთა შედეგებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული და ეთნიკური პოლიტიკის ფორმულირებისას (თითოეულ ქვეყანაში);
 - ყოველგვარი ინოვაცია ნათლად უნდა იყოს განხილული და დაფინანსებული, დისკუსია უნდა შეიცავდეს სტუდენტებს, მასწავლებლებს, საზოგადოების

წევრებს, განათლების სპეციალისტებს - ყველამ უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია [Williams, 2012, p. 61].

დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში სწავლის გამოცდილება გვავარაუდებინებს, რომ ევროპის ინსტიტუციებს და ევროკავშირს აქვთ რეალური ინტერესი მულტილინგვურ კონტექსტში უცხო ენის განათლების მიმართ. თუმცა უმაღლეს განათლებაში ჯერ არ ყოფილა ფუნდამენტური ცვლილებები ევროპაში უცხო ენის ტრენინგის ხარისხში. მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შესაძრწევია ორმაგი სპეციალიზაციის საგანმანათლებლო ხარისხის იმპლემენტაციის პროექტებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ენის სწავლის მრავალმხრივ შესაძლებლობებში. თუმცა არსებობს პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქნიან ლინგვისტურ მრავალფეროვნებას უმაღლეს განათლებაში ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სიჭარბით გავრცელების გამო. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება ისეთი პროგრამების შექმნით, რომლებიც უცხო ენების სწავლებას რეალურად მულტილინგვურს გახდის.

წყაროები:

1. Reform Strategy for Education in Ukraine: Educational Policy Recommendations / [ed. B. Andruschenko]. - K.K. I. C, 2003. - 296 p.

2. Language: New Perspectives on Language in Education/ The EUNOM Report /G.Williams. – 2012. – 61 p. –<http://eunom.uoc.edu>.
3. Eurostat, Education statistics, Statistics in Focus 49/2010/http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_OFFPUB/KS-SF-10-049/EN/KS-SF-10-049-EN.PDF
4. Hamanyuk A. Theory and practice of foreign language education in Germany in the context of European integration processes): dis. Dr. ped. sciences: 13.00.01 / VA Hamanyuk. - Kiev, 2013. - 498 p.
5. Ignacio M. Palacios Foreign Language Teaching in Tertiary Education: A European Perspective// CAUCE, Revista de Filología y suDidáctica, n° 25, 2002. – pgs. 165-184.:
http://cvc.cervantes.es/literatura/cauce/pdf/cauce25/cauce25_10.pdf.